



რადიო იწყება ჩვენით
RADIO BEGINS WITH US

შპს სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი BROADCASTING COMPANY HERETI

2700. კოსტავას 14 ქ. ლაგოდეხი, საქართველო
2700 Kostava st. N14, Lagodekhi, Georgia
0108, შიო ჩიტაძის ქ. N11, თბილისი, საქართველო
0108 Shio chitadze st. N11 Tbilisi, Georgia
www.heretifm.com www.tbilisifm.ge
www.citrusfm.live www.relaxwebradio.com

06.04.2022

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას
ყოველწლიური ინფორმაცია

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, შპს სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი თვითრეგულირების მექანიზმი 2009 წლიდან მოქმედებს.

რადიოში შექმნილია დავის განმხილველი ორგანო, რომელიც არსებობს ორი ინსტანციის სახით: პირველი ინსტანცია - "კომისია" და მეორე ინსტანცია "სააპელაციო საბჭო".

დაინტერესებულ პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ რადიო ჰერეთმა დაარღვია "მაუწყებელთა ქცევის კოდექსით" დადგენილი ეთიკური სტანდარტები და მისი უფლებები, შეუძლია მიმართოს ჰერეთს საჩივრით და მოითხოვოს რეაგირება. მისამართზე: 2700. ქ. ლაგოდეხი, კოსტავას ქ. N14 (ჰერეთის სათაო ოფისი) ან გამოაგზავნოს ელექტრონულად: office@heretifm.com

ამ დრომდე რადიოსადგურებში არ შემოსულა ასეთი სახის პრეტენზია.

თვითრეგულირების საბჭოში არიან: რამაზ სამხარაძე (დირექტორი), ნინო ბეკოშვილი (ჰერეთის წამყვანი და პროდიუსერი), ეკატერინე ოთარიშვილი (მენეჯერი).

სააპელაციო საბჭოს შემადგენლობაშია: ეკატერინე ციმაკურიძე იურისტი, ნანა დევიძე სამართლიანი არჩევნების კახეთის ოფისის ხელმძღვანელი, ზვიად ფოჩხუა „საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასციაციის“ პრეზიდენტი.

თავდაპირველად განცხადებებს და საჩივრებს განიხილავს თვითრეგულირების საბჭო, ხოლო გასაჩივრების შემთხვევაში სააპელაციო საბჭო. თვითრეგულირების საბჭო მაქსიმუმ 2 კვირის ვადაში აქვეყნებს დასკვნას მომჩივანის განცხადებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში თუ დასკვნა გასაჩივრებული იქნა სააპელაციო საბჭოში, საბჭო მას განიხილავს 1 კვირის ვადაში.

► კომპანია ხელმძღვანელობს შემდეგი შინაგანაწესით:

ჰერეთის ჟურნალისტები მაქსიმალურად ცდილობენ რათა მთელი მაუწყებლობადა ყველა პუბლიკაცია (ინტერნეტით გავრცელებულის ჩათვლით) ემყარებოდეს დაზუსტებულ ფაქტებს.

ჰერეთის მიერ გავრცელებული ცნობები ან ინფორმაცია ემყარება სულ ცოტა, ორ დამოუკიდებელ წყაროს.

ჰერეთის ჟურნალისტები არ იყენებენ მასალას, რომელიც ეფუძნება მითქმა-მოთქმას, ჭორს ან სხვა დაუსაბუთებელ ინფორმაციას. ფაქტობრივი შეცდომები, თუ ასეთი რამ მაინც მოხდა, უმოკლეს დროში უნდა გამოსწორდეს.

ჰერეთის ეთერში გადაცემული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ფაქტების კონტექსტში, რომელიც ხელს შეუწყობს მოვლენებსა თუ საკითხებში მსმენელის გარკვევას და ვითარებაში სიცხადის შეტანას ფაქტების დაუმახინჯებლად ან მიუკერძოებლად ასახვით.

საინფორმაციო სამსახური დამოუკიდებელი უნდა იყოს ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის, მმართველი თუ ოპოზიციური ჯგუფისგან, ემიგრანტთა ორგანიზაციებისგან, კომერციული ან სხვა, კერძო ინტერესის მქონე ორგანიზაციისგან თუ რელიგიური უწყებისგან. არ უნდა ეწეოდეს კონკრეტული პოლიტიკური, ეკონომიკური თუ რელიგიური შეხედულებების მხარდაჭერასა და პროპაგანდას.

ახალი ამბები უნდა შეიცავდეს ზოგადი ინფორმაციისა და განმარტების ელემენტებს, რომლებიც მსმენელს დაეხმარება, გაერკვეს მიღებული ინფორმაციის მნიშვნელობასა და შესაძლო შედეგებში.

ჰერეთის ჟურნალისტებმა ფაქტების ამსახველ რეპორტაჟებს არ უნდა დაურთონ პირადი მოსაზრებები, კომენტარები თუ შეფასებები.

საინფორმაციო მაუწყებლობა მუდამ დაცული უნდა იყოს მშვიდი დაზომიერი კილო, ადგილი უნდა ეთმობოდეს ცივილიზებულ, გონივრულ მსჯელობას, რომელიც ასახავს ყველა ადამიანის უფლებათა პატივისცემას.

ჰერეთის მაუწყებლობა და გავრცელებული ინფორმაცია ვებსაიტზე არ უნდა შეიცავდეს ცალკეული პირის, პირებისა თუ ჯგუფების მიმართ რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური, სოციალ-ეკონომიკური ან კულტურული ნიშნით შეურაცხმყოფელ, დისკრიმინაციულ განცხადებებს და უნდა შეესაბამებოდეს კორექტულობისა და გემოვნების საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს.

ჰერეთის მაუწყებლობა არ უნდა შეიცავდეს მასალას, რომელიც შეიძლება აღქმულიქნეს ძალადობის გამჩალებლად ან წამქეზებლად. სახალხო მღელვარებისა თუ სხვა სახის დაძაბული ვითარების ამსახველი პროგრამები უნდა იყოს გაწონასწორებული და ფაქტებზე დამყარებული.

ჰერეთის თანამშრომლები, მაუწყებლობისა თუ ინტერნეტ-მასალის შექმნაში მონაწილე მოწვეული ექსპერტები თავიანთ საქმიანობაში უმაღლეს ეთიკურ სტანდარტებს უნდა იცავდნენ. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად როგორც სამაუწყებლო სივრცეში, ისე მის საზღვრებს გარეთ - კერძო პირებთან, ჯგუფებთან, პოლიტიკურ თუ კომერციულ ინტერესებთან მიმართებით.

დაუშვებელია, რადიო ჰერეთის თანამშრომლებმა და მოწვეულმა ექსპერტებმა ბოროტად ისარგებლონ საჯარო პირის სტატუსით ან რადიო ჰერეთის კარგი რეპუტაციით პირადი ინტერესების სასარგებლოდ.

აღნიშნული სტანდარტები ვრცელდება ჩვენს ორივე რადიოსადგურზე (რადიო თბილისი FM93.5, რადიო ჰერეთი FM102.8) და გამოქვეყნებულია ჩვენს ოფიციალურ ვებგვერდზე www.heretifm.com

“მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს:

შპს “სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი” ფლობს კერძო მაუწყებლობის B95 (რადიო ჰერეთი - ლაგოდეხის ანძა, კახეთის რეგიონში FM102.8 ერთი 250 V გადამცემის გამოყენებით.) B175 (რადიოთბილისი FM93.5 - თბილისი, მთაწმინდის ანძა ერთი 1KV გადამცემის გამოყენებით) და B201 (რადიო ციტრუსი FM97.3 ბათუმი ტელე-რადიო ცენტრის ანძა - 500 V ერთი გადამცემის გამოყენებით) ლიცენზიას ლიცენზიის სახეობა – კერძო რადიომაუწყებლობა (საერთო რადიომაუწყებლობა)

შპს სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი 2017 წლის 25 აპრილიდან ფლობს ინტერნეტრადიოსადგურს www.relaxwebradio.com რომელიც ახალ ტექნოლოგიებზე ვრცელდება.

შპს სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი ფლობს სამ ვებრესურს:

www.heretifm.com
www.tbilisifm.ge
www.citrusfm.live
www.relaxwebradio.com

შპს “სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი“ არის კერძო, დამოუკიდებელი კომპანია და მისი დამფუძნებელია რამაზ სამხარაძე (კნ01003000985), დაბადებული 29.08.78, მცხოვრები: ქ.თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი 71ბ, 874 ; წილი - 100% (იხილეთ შესაბამისობის დეკლარაცია, რომელიც წარმოდგენილია კომისიაში)

შპს “სამაუწყებლო კომპანია ჰერეთს“ შესაბამისად არ ჰყავს სხვა წევრები, შემომწირველები, გამგეობა და ა.შ. მისი მართვის ორგანო არის დამფუძნებელთა ანუ პარტნიორთა კრება.

კომპანიის საქმიანობას წარმართავს დირექტორი. შპს “სამაუწყებლო კომპანია ჰერეთის“ დირექტორია: რამაზ სამხარაძე

ამასთან, შპს “სამაუწყებლო კომპანია ჰერეთის“ დამფუძნებლები, მათი ოჯახის წევრები, არ ფლობენ მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელის წილს ან აქციებს, პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის წილს ანაქციას, საინფორმაციო სააგენტოს წილს ან აქციებს.

შპს “სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი“ არ ფლობს მაუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიას(ებს), გარდა წინამდებარე მიმართვის ბ პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიისა.

შპს “სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი“ არ ფლობს მაუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიის მფლობელის საწესდებო კაპიტალში წილს ან აქციებს.

შპს “სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი“ არ ფლობს პერიოდულ ბეჭდვით გამოცემას.

შპს “სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი“ არ ფლობს პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის საწესდებო კაპიტალში წილს ან აქციებს.

შპს “სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი“ არ ფლობს საინფორმაციო სააგენტოს.

შპს“სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი“ არ ფლობს საინფორმაციო სააგენტოს საწესდებო კაპიტალში წილს ან აქციებს.

შპს “სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი“ საერთოდ არ ფლობს სხვა საწარმოს ან სხვა საწარმოში წილს ან აქციებს.

შპს „სამაუწყებლო კომპანია ჰერეთის“ შემოსავლები შედგება: რეკლამიდან, სპონსორობიდან, საინფორმაციო ხასიათის მომსახურებიდან.

შპს „სამაუწყებლო კომპანია ჰერეთის“ საეთერო ბადე და შესაბამისობის დეკლარაცია გამოქვეყნებულია ჩვენს ოფიციალურ ვებგვერდზე www.heretifm.com (იხილეთ საიტზე „ჩვენს შესახებ“) ასევე წარმოდგენილია კომისიაში.

ანგარიშს თან ერთვის აუდიტის დასკვნა 2021 წლის მდგომარეობით და შესაბამისობის დეკლარაცია

პატივისცემით,

რამაზ სამხარაძე

დირექტორი

